ვინ ვართ ჩვენ

შპს თიფვეი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, რომელიც წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის მოქმედებს, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი (შემდგომში **„კომპანია“).**

შპს თიფვეის საიდენტიფიკაციო კოდია: 402291220

იურიდიული მისამართი: კ. მარჯანიშვილის ქ. №7, ჩუღურეთის რაიონი, თბილისი, საქართველო

ფაქტობრივი მისამართი: ნ. რამიშვილის 3ა, თბილისი, საქართველო

ჩვენ, კომპანია ვაცხადებთ, რომ:

- დავიცავთ თქვენი მონაცემების კონფიდენციალურობას;
- არ გამოვიყენებთ თქვენს მონაცემებს უკანონოდ;
- თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, მოგაწვდით სრულ და დეტალურ ინფორმაციას თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით

დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტით, გაგიზიარებთ ინფორმაციას ყველა იმ პრინციპის შესახებ, რომლითაც ვხელმძღვანელობთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ასევე, გაგაცნობთ, თუ როგორ გიცავთ კანონი და მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტიპის პერსონალურ მონაცემებს აგროვებს კომოპანია თქვენთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას და როგორ ხდება ამ მონაცემების გამოყენება, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.

ჩვენი მიზანია, ასევე, გაგაცნოთ, თუ როგორ მუშავდება მონაცემები საქართველოს კანონმდებლობისა და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგლამენტის (GDPR/UK GDPR) შესაბამისად.

როგორ გიცავთ კანონი

თქვენი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობითა და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგლამენტით (GDPR//UK GDPR). თქვენ უფლება გაქვთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

თქვენს პერსონალურ მონაცემებს დავამუშავებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- გაცხადებული გაქვთ თანხმობა მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჩვენს შორის დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

- მონაცემთა დამუშავება საჭიროა კანონმდებლობით/რეგულაციებით ჩვენთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, თქვენი მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია, ან თუ თქვენი მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადეთ;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი განცხადების განსახილველად (მომსახურების გასაწევად), ან/და
- მონაცემთა დამუშავება ეფუძნება კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი ყოველი კონკრეტულ შემთხვევისთვის, შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

პერსონალური მონაცემების ტიპები	**რისთვის ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს**	**ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები:**	**სამართლებრივი საფუძველი:**
საკონტაქტო ინფორმაცია, სოციო-დემოგრაფიული, ტრანზაქციასთან დაკავშირებული, ქცევითი მონაცემები, ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო, ლოკაციასთან დაკავშირებული	თქვენთან ურთიერთობისთვის	მონაცემთა განახლება, თქვენთვის საინტერსო პროდუქტებისა და მომსახურების იდენტიფიცირება და თქვენთვის შესაბამისი ინფორმაციის მოწოდება; პროდუქტებისა და მომსახურების განვითარება; კლინტების ფოკუს-ჯგუფის განსაზღვრა ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზების მიზნით; ჩვენი კანონისმიერი მოვალეობების ეფექტურად შესრულება;	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ჩვენი კანონიერი ინტერესები ჩვენი საკანონმდებლო ვალდებულება
	თქვენი მოთხოვნების შესასრულებლად, თანამშრომლობის ახალი გზების შესამუშავებლად და ჩვენი ბიზნესის განსავითარებლად		
	მარკეტინგული აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად.		
	იმის შესასწავლად, თუ როგორ იყენებენ კლიენტები ჩვენს პროდუქტებსა და მომსახურებას.		
	პროდუქტების და მომსახურების გაუმჯობესების/შექმნის მიზნით სხვადასხვა კვლევის ჩასატარებლად;		

	ჩვენს პროდუქტებსა და მომსახურებასთან დაკავშირებით რჩევებისა თუ რეკომენდაციების მისაღებად; ჩვენი ბრენდების, პროდუქტებისა და მომსახურების განსავითარებლად/ სამართავად;		
ფინანსური, საკონტაქტო ინფორმაცია, ტრანზაქციასთან დაკავშირებული, სახელშეკრულებო, საკომუნიკაციო, ლოკაციასთან დაკავშირებული, დოკუმენტური, ღია წვდომის მონაცემები და საჯარო ჩანაწერები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (მათ შორის, ბიომეტრიული),	პროდუქტებისა და მომსახურების მისაწოდებლად კლიენტების გადახდების განსახორციელებლად და სამართავად კლიენტების ანგარიშებზე საკომისიოებისა	ჩვენი საკანონმდებლო მოვალეობებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების ეფექტურად შესრულება; ჩვენთვის რელევანტურ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	თქვენი თანხმობა; სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ჩვენი კანონიერი ინტერესები ჩვენი საკანონმდებლო ვალდებულება
ფინანსური, საკონტაქტო ინფორმაცია, სოციო-დემოგრაფიული, ტრანზაქციასთან დაკავშირებული, სახელშეკრულებო, ლოკაციასთან დაკავშირებული, ღია წვდომის მონაცემები და საჯარო ჩანაწერები,	ფინანსური დანაშაულის გამოსავლენად, გამოსაძიებლად, ანგარიშგებისა და პრევენციისათვის; ჩვენი და ჩვენს კლიენტებთან დაკავშირებული რისკების სამართავად;	ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემუშავება და გაუმჯობესება, ასევე, სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება	ჩვენი კანონიერი ინტერესები ჩვენი საკანონმდებლო ვალდებულება

სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული, დოკუმენტური, საკომუნიკაციო, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (მათ შორის, ბიომეტრიული)	ჩვენთვის რელევანტური კანონებისა და რეგულაციების შესასრულებლად; საჩივრებზე რეაგირებისთვის და მათი მოგვარების გზების მოსაძიებლად.		
ფინანსური, საკონტაქტო ინფორმაცია, სოციო-დემოგრაფიული, ტრანზაქციასთან დაკავშირებული, სახელშეკრულებო, ლოკაციასთან დაკავშირებული, ღია წვდომის მონაცემები და საჯარო ჩანაწერები, სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული, დოკუმენტური, საკომუნიკაციო, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (მათ შორის, ბიომეტრიული)	ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებების განხორციელება და ვალდებულებების შესრულება	სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება	სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ჩვენი კანონიერი ინტერესები ჩვენი საკანონმდებლო ვალდებულება

პერსონალური მონაცემების ჯგუფები

ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ტიპის პერსონალურ ინფორმაციას, რომელსაც შემდეგნაირად ვაჯგუფებთ:

პერსონალური მონაცემების ტიპები	**აღწერა**

ფინანსური	ინფორმაცია თქვენი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია შესრულებული ტრანზაქციების შესახებ, თქვენს სარგებლობაში არსებული ფინანსური პროდუქტები,
საკონტაქტო	ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.
სოციო-დემოგრაფიული	თქვენი მოქალაქეობის,
ტრანზაქციასთან დაკავშირებული	ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია, საბანკო ანგარიშის ნომერი, ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია.
სახელშეკრულებო	ინფორმაცია თქვენი პროდუქტებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.
ლოკაციასთან დაკავშირებული	ინფორმაცია თქვენს ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, რომელსაც კომპანია მოიპოვებს თქვენ მიერ ელექტრონული მოწყობილობებით სარგებლობისას.
ქცევითი მონაცემები	დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს პროდუქტებსა თუ მომსახურებას.
ტექნოლოგიური	ტექნიკა/მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც იყენებთ ჩვენი პროდუქტებით/სერვისებით სარგებლობისას.
ღია წვდომის მონაცემები და საჯარო ჩანაწერები	საჯარო წყაროებში თქვენს შესახებ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, საჯარო საარჩევნო სიებში არსებული ინფორმაცია, ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელიც ინტერნეტში კანონიერად არის ხელმისაწვდომი.

საკომუნიკაციო	ინფორმაცია თქვენს შესახებ, რომელსაც კომპანია მოიპოვებს, როგორც მატერიალური ფორმის, ასევე ელექტრონული წერილებიდან, სატელეფონო და სხვა სახის საკომუნიკაციო არხებიდან.
სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული	ინფორმაცია თქვენი ოჯახის წევრების (ოჯახური მდგომარეობა) და საკონტაქტო პირების შესახებ.
დოკუმენტური	სხვადასხვა დოკუმენტსა და მათ ასლებში ასახული ინფორმაცია თქვენს შესახებ. ასეთ დოკუმენტებს მიეკუთვნება პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების მოწმობა, ავტომობილის მართვის მოწმობა და თქვენი მაიდენტიფიცირებელი სხვა დოკუმენტები.
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (მათ შორის, ბიომეტრიული)	ბიომეტრიული მონაცემები

თქვენი მონაცემების უსაფრთხოება ციფრულ არხებში

მომსახურების გაწევის ფარგლებში, კომპანია უფლებამოსილია მონიტორინგი გაუწიოს თქვენს ქცევას კომპანიის ციფრული არხებით სარგებლობისას. მონიტორინგის მიზანია მომხმარებელთა გამოვლენილი ქცევის შესწავლა და ანალიზი.

კომპანიის ელექტრონული პლატფორმების გამოყენებისას შესაძლოა დავამუშაოთ თქვენი მოწყობილობის ID, მოდელი, ბრენდი, სახელი, OS ვერსია და ა.შ.

როგორ მოვიპოვებთ თქვენს მონაცემებს

თქვენს პერსონალურ ინფორმაციას მოვიპოვებთ ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, კერძოდ:

- როდესაც ხდებით ჩვენი მომხმარებელი და იყენებთ ჩვენ პროდუქტებსა თუ მომსახურებებს;
- როდესაც რეგისტრირდებით ჩვენს ონლაინ სერვისებზე;
- სატელეფონო კომუნიკაციისას, ან ოფისში ვიზიტისას;
- როდესაც იყენებთ ჩვენს ან/და კომპანიის ჯგუფის წევრების (მათ შორის და არამხოლოდ სს თიბისი ბანკის) ციფრულ არხებს;
- წარმოგვიდგენთ დოკუმენტაციას, ან როდესაც გვიგზავნით წერილებს ფოსტით ან ელ. ფოსტით;
- როდესაც ვდებთ გარიგებას მესამე პირებთან და ვიღებთ მათგან პერსონალურ მონაცემებს;
- საჯარო წყაროებიდან.

„მზა ჩანაწერები" (Cookies)

ჩვენს ვებ გვერდზე მომხმარებელთა ქცევის მონიტორინგს ვახორციელებთ ე.წ. „მზა ჩანაწერების" (cookies-ის) საშუალებით იმისათვის, რომ ვიზიტორებს გავუადვილოთ ვებ გვერდით სარგებლობა და გავაუმჯობესოთ მისი ფუნქციონირების ხარისხი.

„მზა ჩანაწერები" მცირე ზომის ფაილებია, რომლებიც საიტზე ვიზიტისას ინახება მომხმარებლის კომპიუტერში, პლანშეტში ან მობილურ მოწყობილობაში. ისინი რჩება თქვენს მოწყობილობაში და საიტს უბრუნდება, როცა კვლავ ეწვევით იმავე მისამართს.

.

თქვენი უფლებები

თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ინფორმაცია, თუ როგორ ვაგროვებთ და ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რაც ნიშნავს იმას, რომ თქვენი მომართვის შემთხვევაში, ვალდებულები ვართ მოგაწოდოთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ, როგორც მონაცემთა გაცნობა, ისე მათი ასლების გადმოცემა.

კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენ ასევე გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი მონაცემის დაბლოკვა, ცვლილება, გასწორება, განახლება, შევსება, დამატება, გადატანა, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც, შესაძლოა შეგვეზღუდოს პერსონალურ მონაცემთა წაშლის შესაძლებლობა. ზემოხსენებული ვალდებულებები შესაძლოა გამომდინარეობდეს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, საგადასახადო საქმიანობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობებიდან ან/და სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

მესამე პირისგან მიღებული ინფორმაცია

კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, ჩვენ უფლება გვაქვს, თქვენი პერსონალური მონაცემები გამოვითხოვოთ და მივიღოთ მესამე პირებისგან, მაგ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

ვის ვუზიარებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

თქვენთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გაზიარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან იმ ორგანიზაციებთან, რომლებმაც თქვენს მიერ შერჩეული პროდუქტი, თუ მომსახურება უნდა მოგვაწოდონ, მაგალითად:

- თუ თქვენ გაქვთ სადებეტო, საკრედიტო ან/და სხვა ტიპის ბარათები, დეტალურ ინფორმაციას თქვენი ტრანზაქციის შესახებ მივაწვდით იმ კომპანიებს, რომლებიც გვეხმარებიან ამ მომსახურების გაწევაში (როგორებიცაა მაგალითად, საერთაშორისო ან/და ლოკალური საგადახდო სისტემები, საკორესპოდენტო/შუამავალი ბანკები/კომერციული ბანკები).

თქვენი ინფორმაცია, მომსახურების გაწევის, პროდუქტების შექმნისა და განვითარების, შეთავაზების მიზნით, ასევე, შეიძლება გაზიარდეს კომპანიის ჯგუფის (თიბისი ჯგუფის) წევრ კომპანიებთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ვიყენებთ მესამე მხარეების, სხვა პროვაიდერის მომსახურებას, შესაძლებელია, დაგვჭირდეს მათთვის თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება კონკრეტული დავალებების შესასრულებლად. მომსახურება, რომელიც უნდა მივიღოთ მესამე პირებისაგან და შეიძლება საჭიროებდეს თქვენი მონაცემების გაზიარებას, შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სფეროებით:

- ვებ-ინსტრუმენტების ან/და აპლიკაციების დიზაინი, მიმდინარე საექსპლუატაციო მომსახურება;
- იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესში გამოყენებული სისტემის მიერ;
- IT სერვისის პროვაიდერები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ აპლიკაციის ან ინფრასტრუქტურის (მაგ.: „cloud") სერვისები;
- იურიდიული, აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურება, რომლებსაც გვაწვდიან შესაბამისი პირები;
- თაღლითობის და სხვა სახის დანაშაულისა თუ გადაცდომის გამოვლენა, მოკვლევა და პრევენცია;
- საბანკო/ფინანსური ოპერაციების (შეთანხმებების) განხორციელება.

თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება გაზიარდეს იმ შემთხვევაშიც, თუ სამომავლოდ შეიცვლება კომპანიის სტრუქტურა, მაგალითად, თუ კომპანია გადაწყვეტს სრულად ან ნაწილობრივ გაასხვისოს საკუთარი აქტივები, ან განახორციელოს რეორგანიზაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლებით, მონაცემები მესამე პირებს გადაეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოთხოვნა და ამასთან, ასეთი მესამე პირები იკისრებენ მონაცემთა სათანადო წესით დამუშავების და კონფიდენციალურობის ვალდებულებას.

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უარს იტყვით მონაცემთა მესამე პირებისთვის გაზიარებაზე, თქვენთვის მომსახურების გაწევა შეიძლება შეფერხდეს.

მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

იმ შემთხვევაში, თუ ხდება თქვენი პერსონალური მონაცემის საერთაშორისო გადაცემა, აღნიშნული განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, ასეთი გადაცემისას, მივმართავთ ყველა ძალისხმევას, რათა მონაცემები გადავცეთ უსაფრთხოდ და კონფიდენციალურობის სრული დაცვით, წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან სრული შესაბამისობით.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ იმყოფებით ევროკავშირის ან ევროპის ეკონიმიკური სივრცის ტერიტორიაზე და წარმოადგენთ GDPR-ით განსაზღვრულ მონაცემთა სუბიექტს და მონაცემები ზიარდება ევროპული კავშირისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის მიღმა მონაცემები შეიძლება გაზიარდეს სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად:

- ქვეყანა, რომელთანაც ხდება ინფორმაციის გაზიარება სარგებლობს დაცვის სათანადო გარანტიებით საქართველოს კანონმდებლობის, ან/და ევროკომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად;
- თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სათანადო დათქმებს, ან/და თუ არ არსებობს ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება, პერსონალური მონაცემები შეიძლება გადავცეთ მესამე ქვეყანას, ან საერთაშორისო ორგანიზაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ შესაბამის ზომებს მოქმედი კანონმდებლობის ან/და GDPR-ის შესაბამისად. ამასთან, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია შესაბამისი ზომების თაობაზე წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

თუ შესაბამისი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სათანადო დათქმებს, ან/და ევროკომისიის გადაწყვეტილების, ან შესაბამისი გარანტიების, მათ შორის, ევროკომისიის მიერ დამტკიცებული სავალდებულო კორპორატიული წესების ("Binding Corporate Rules") არარსებობისას, პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნისთვის, ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- თუ მონაცემთა სუბიექტი თანხმობას განაცხადებს მონაცემთა გადაცემაზე, მას შემდეგ, რაც მიეწოდება დეტალური ინფორმაცია მონაცემთა გადაცემასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე;
- თუ გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და მონაცემთა დამმუშავებელს შორის არსებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით წინასწარი სახელშეკრულებო ღონისძიებების განსახორციელებლად;
- თუ გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ინტერესების შესაბამისად ხელშეკრულების დადების ან შესრულებისთვის;
- თუ გადაცემა აუცილებელია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი/საჯარო ინტერესიდან გამომდინარე;
- თუ გადაცემა აუცილებელია სამართლებრივი მოთხოვნების შესასრულებლად, ან დაცვის მიზნით;
- თუ გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტი მოკლებულია თანხმობის გამოხატვის შესაძლებლობას.

პერსონალური მონაცემების დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის

თქვენს პერსონალურ მონაცემებს მარკეტინგული მიზნებისთვისაც ვიყენებთ - მათი დამუშავება საჭიროა იმისათვის, რომ მოგაწოდოთ თქვენთვის შესაფერისი პროდუქტების და შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია.

Flitt

თქვენს მონაცემებს ვამუშავებთ იმისთვის, რომ გავიგოთ, რა გსურთ ან რა გჭირდებათ, რა იქნებოდა თქვენთვის საინტერესო.

თქვენი პერსონალური მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მუშავდება თქვენი თანხმობით.

თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს დაგვიკავშირდეთ და მოითხოვოთ პირდაპირი მარკეტინგული მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა. თქვენს მოთხოვნას, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შევასრულებთ.

თქვენ, ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებთ სავალდებულო შეტყობინებებს, თქვენს სარგებლობაში უკვე არსებულ პროდუქტებთან და მომსახურებასთან დაკავშირებით, მათ შორის, შეტყობინებებს ასეთ პროდუქტებში ან/და მომსახურებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

თქვენს მონაცემებს ვამუშავებთ და ვინახავთ კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და ჩვენთვის დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.

თანხმობის გაუქმება

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის შესახებ თანხმობის გაუქმების შესახებ მოთხოვნა შეგიძლიათ კომპანიას წარუდგინოთ ნებისმიერ დროს. თანხმობის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მონაცემების დამუშავების საფუძველს წარმოადგენს თქვენ მიერვე გაცხადებული თანხმობა.

თანხმობის გაუქმების შემთხვევაში, შესაძლოა შეფერხდეს ჩვენი მომსახურება და ვერ შევძლოთ თქვენთვის სრულყოფილი მომსახურების გაწევა.

თუ თქვენ გადაწყვეტთ მონაცემთა დამუშავების შესახებ გაცხადებული თანხმობის გაუქმებას, გთხოვთ, დაგვიკავშირდით ამავე პოლიტიკით განსაზღვრული ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალებით.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის ცვლილება

წინამდებარე დოკუმენტი პერიოდულად განახლებადია კომპანიის მიერ.

დოკუმენტში ცვლილებები შეიტანება კომპანიის ვებ გვერდზე გამოქვეყნების გზით და ცვლილებებს უნდა გაეცნოთ პერიოდულად. ცვლილებების შესახებ პერსონალურად გეცნობებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვალდებულება გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან.

როგორ დაგვიკავშირდეთ

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ კანონმდებლობითა და წინამდებარე დოკუმენტით თქვენთვის მონიჭებული უფლებების რეალიზება, შეგიძლიათ ეწვიოთ კომპანიის ოფისს, მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტაზე: Support@flitt.com